რიზო-ლაკი (Rhizo-Lac)

გრანულირებული, მიკრობული მაჭიკის ფერმენტი 2250 IMCU/G

შემადგენლობა: მიკრობული მაჭიკის ფერმენტი (მიღებული, სოკო Rhizomucor miehei-დან) და ნატრიუმის ქლორიდი.

მიკრობული მაჭიკის ფერმენტი არის რძის შემადედებელი, რომელიც განკუთვნილია ყველის მწარმოებელ ქარხნებში გამოსაყენებლად და ანაცვლებს ანალოგიურ ცხოველური წარმოშობის მაჭკის ფერმენტს. მისიფერმენტაციის პროცესში მოქმედებს პათოგენებისგან თავისუფალი,გაწმენდილი სოკო - Rhizomucor miehei.

სპეციფიკაცია: შეესაბამება სტანდარტს: GB/T 1886.174-2016 (ფერმენტები კვების მრეწველობისთვის)

მახასიათებლები: გრანულირებული მიკრობული მაჭიკის ფერმენტი 2250 IMCU/გ არის ოდნავ მარილიანი, სტაბილური, წყალში ხსნადი; ნაკლებად ხსნადიაეთანოლში, ქლოროფორმში ან ეთილის ეთერში.

იგი ავლენს შედედების კარგ უნარს, რომელიც ძალიან ჰგავს ხბოს მაჭიკის(ხიმოზინის) შესაბამისი ტიპის ენდოპეპტიდაზას.

ფერმენტის აქტივობა დამოკიდებულია დამუშავების პირობებზე, რძის შემადგენლობაზე, კალციუმის კონცენტრაციაზე, pH-ზე და ტემპერატურაზე.

მიკრობული ფერმენტი განსაკუთრებით მისაღებია ვეგეტარიანელებისთვის.

არ შეიცავს გმო-ს და ალერგინს.

მზა პროდუქტს ახასიათებს სასიამოვნო, რძის პროდუქტისათვის დამახასიათებელი სუნი და გემო.

გამოიყენება ყველა ტიპის ყველის წარმოებაში, მომწიფების ვადით არაუმეტეს 4 თვისა.

ყველი ინახება ხანგრძლივად.

დოზირება: მიკრობული მაჭიკის ფერმენტი 2250-რძის კოაგულაციის საერთაშორისო ერთეულებით(IMCU).

რეკომენდებულია 30 IMCU-დან - 60 IMCU-მდე ერთ ლიტრ რძეზეგადაანგარიშებით, რაც ნიშნავს დიდი მოცულობის წარმოებლებისათვის 13,33 გ-დან 26,66 გ-მდე ფერმენტი 1000 ლიტრ რძეზე).

ხოლო ოჯახურ პირობებში - 1 გრ ფერმენტი საკმარისია 40-დან - 80 ლიტრის რძის შედედებისათვის, რაც დამოკიდებულია რძის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

თავდაპირველად პროდუქტი უნდა გაიხსნას პასტერიზებულ, გაცივებულ და არაქლორირებულ წყალში. შეურიეთ რძეს და მოურიეთ 5 წუთის განმავლობაში.

შეფუთვა: 1გრ სამშრიანი პაკეტებში და 500 გ პოლიეთილენის ბოთლში.

შენახვის ვადა და პირობები: 2 წელი, შეინახეთ გრილ, მშრალ, მზისგან დაცულ ადგილას,

არაუმეტეს 20- 25°C ტემპერატურაზე.

შენახვის პირობების დარღვევა, გამოიწვეს ფერმენტის აქტივობის შემცირებას.

მწარმოებელი: შპს ბიოტეკსი, საქართველო